თსუ ცოდნის გადაცემისა და ინოვაციების ცენტრის მთავარი სპეციალისტის და უფროსი სპეციალისტის შესარჩევად კონკურსის ჩატარების წესი

1. კონკურსის მიზანი

ა) წესის მიზანია სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ცოდნის გადაცემისა და ინოვაციების ცენტრის მთავარი სპეციალისტის და უფროსი სპეციალისტის შერჩევა.

ბ) კონკურსის ორგანიზებულად ჩატარების მიზნით იქმნება კომისია.

2. კომისიის შემადგენლობა

კომისიის შემადგენლობაში შედიან კომისიის თავმჯდომარე, კომისიის წევრები და მდივანი.

3. საკონკურსო კომისიის ფუნქციები:

საკონკურსო კომისიის ფუნქციებში შედის:

ა) საკონკურსო წესით ცოდნის გადაცემისა და ინოვაციების ცენტრის მთავარი სპეციალისტის და უფროსი სპეციალისტის კანდიდატების შერჩევა.

ბ) აპლიკანტების (ვის მიერ წარმოდგენილი საბუთებიც აკმაყოფილებს საკონკურსო მოთხოვნებს) წინასწარი შეტყობინების საფუძველზე გასაუბრებაზე მოწვევა;

გ) კომისიას შეუძლია საჭიროების შემთხვევაში მოიწვიოს ექსპერტი, რომელიც კენჭისყრაში მონაწილეობას არ იღებს.

4. კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების წესი

ა) კომისია კონკურსანტების დაუსწრებლად აფასებს მის მონაცემთა შესაბამისობას უნივერსიტეტის ცოდნის გადაცემისა და ინოვაციების ცენტრის მთავარი სპეციალისტის და უფროსი სპეციალისტის მოთხოვნებთან.

ბ) კომისიის თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმის უფლება. კომისიის წევრს არ აქვს უფლება თავისი ხმა გადასცეს კომისიის სხვა წევრს.

გ) კონკურსში მონაწილე ყველა კანდიდატს კენჭი ეყრება ცალ-ცალკე.

დ) იმ კანდიდატებს შორის, რომლებმაც თანაბარი ხმები მიიღეს, კენჭისყრა ეწყობა ხელახლა.

ე) გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს კომისიის სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.

ვ) კომისია მიღებულ გადაწყვეტილებას აფორმებს ოქმის სახით, რომლის საფუძველზე შერჩეულ კონკურსანტთან გაფორმდება შრომითი ხელშეკრულება;

5. დავების გადაწყვეტა

კონკურსის შედეგებთან დაკავშირებული დავები წყდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.